

კირონ II

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

(გიორგი იერონიმეს ძე სამაგლიშვილი)

„საქართველოს განმანათლებელი,
მოციქულთასწორი წმიდა ნინო“

(საკანდიდატო დისერტაცია)

პუბლიკაციის წყარო: ჟურნალი „Пастырь“ 1888 გ. - №16, 18. и 1889 გ. - №1, 4, 5, 6

თბილისი

„წიგნის სავანე“

2017

Кирион II

Католикос-Патриарх Всея Грузии

(Георгий Иеронимович Садзаглишвили)

**«Святая Равноапостольная Нина,
Просветительница Грузии»**

(Кандидатская диссертация)

Источник публикации: журнал „Пастырь“ 1888 г. - №16, 18. и 1889 г. - №1, 4, 5, 6.

Тбилиси

„წიგნობის საკაბე“

2017



წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II-ის
საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან 100 წლისთავს

რუსულიდან თარგმნა ვერიკო კოტარიამ.

შემდგენელი და რედაქტორი კონსტანტინე ალიბეგაშვილი.

გამომცემელი ათანასე ბეჭვაია.

ქრისტიანობის გავრცელების მსოფლიო ისტორიაში ქალებს უკავიათ საპატიო ადგილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაქრისტიანებული დედოფლების ძლიერი ზეგავლენა მეფეებზე ქრისტიანულად განსანათლებლად. როგორც ცნობილია, პოლონეთის მეფის მეჩისლავ I-ზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ჩეხეთის მეფის ბოლესლავ I-ის ქალიშვილმა დომბროვკამ. ფრანკთა მეფის მოქცევა ბურგუნდიელი კლოტილდას დამსახურებაა. ანგლოსაქსონელი მეფის ედილბერტის მოქცევა კი - მისი მეუღლის, ფრანკთა თავადის ასულის ბერტასი. უნგრელი მეფეების გეიზეს და სტეფანეს მოქცევა მოხდა მათი მეუღლეების, პოლონეთის მეფის ადელგეიდეს დისა და იმპერატორ გიზლეს დის მეშვეობით. რუსეთი მომზადებული იყო ქრისტიანობის მისაღებად და წმიდა ოლგამ მოაქცია; რუსეთის დიდი თავადის ვლადიმირის მოქცევაზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გავლენა იქონიეს მისმა ქრისტიანმა¹ ცოლებმა. გავიხსენოთ ასევე დიდებული სულის მქონე ქალბატონის მიერ, სიკვდილისაგან ორჯერ გადარჩენილი, წმინდა გრიგოლი, რომელიც შემდეგ სომხეთის განმანათლებელი შეიქმნა.

განსაკუთრებით დიდია ქალის როლი და ფენომენი, ქართველი ხალხის თვალში. ამორძალთა ისტორია საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ქართველები ქალურ საწყისს.² არცერთ ევროპულ ისტორიაში, სადაც ქალის პიროვნება შეიძლებოდა გაცილებით ძლიერად განვითარებულიყო, ვიდრე სადმე აღმოსავლეთში, ჩვენ ვერ ვხვდებით ისეთ საოცარ საქმეებს ქალთა მიერ აღსრულებულებს, როგორც საქართველოში, რომელიც გარშემორტყმული იყო ყოველი მხრიდან უხეში ტომებით, რომელთა ზეგავლენის ქვეშ შეიძლება აღმოჩენილიყო უძველესი ივერია. ქალი აქ მოციქულიცაა და ქრისტიანობის მოშურნე მქადაგებელი - ეს წმინდა ნინოა, დედოფალ ნანას თანამედროვე, რომელმაც ზეციური სწავლება მიიღო სიტყვის მქადაგებელი ქალისაგან და მთელი ძალისხმევა ჩადო თავისი მეუღლის, მეფე მირიანის მოსაქცევად, რითაც გზა გაეხსნა საქართველოს მოქცევას. ქალებმა ყველაზე პირველებმა მიიღეს ჩვენში ქრისტიანობა და გახდნენ მცხეთის ქრისტიანული თემის წევრები. ქალის მმართველობისას აღწევს საქართველო თავისი ძლიერების ზენიტს პოლიტიკური, ეკლესიური, საგანმანათლებლო თუ კეთილმოწყობის თვალსაზრისით. ეს დედოფალი აკეთებს იმდენს თავისი ქვეყნისათვის, რომ საბოლოოდ რაღაც მითად იქცევა - ეს იყო ქართველი ხალხისათვის სახელგანთქმული და უკვდავი თამარ მეფე. ქალი აქ, ყოვლისშთანთქმელი ისლამისაგან, სამშობლოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად ტოვებს სასახლეს, სამეფო გვირგვინს და მიდის სპარსეთში, სადაც თავისი მოთმინებით, ტანჯვათა

¹) ვლადიმირის ცოლებს შორის იყვნენ ქრისტიანები: ბერძენი, ჩეხი და ბულგარელი.

²) ზოგიერთი ქალაქი საქართველოში ქალების საპატივცემულოდ შენდებოდა. მაგალითად: ოზურგეთი (ქალწულთა ქვეყანა), ქუთაისი, აიეტის დედაქალაქი - ქალთა ქვეყანა; იხ. Новые заметки на древ. ист. кавк. и его обитателей. - И. И. Шопен.

დათმენით აკვირვებს უხეშ მტანჯველებს და კათოლიკეთა ბერებს - ეს არის კახეთის დედოფალი ქეთევანი.³

ქართველი, ბერძენი და სომეხი მწერლები ერთხმად აღიარებენ საქართველოს განმანათლებლად წმინდა ნინოს. მდიდარი მასალები ნინოს ისტორიისათვის შემოგვინახეს მისმა თანამედროვეებმა, რომელსაც სათანადო ყურადღება ჯერ არ მიექცა. დღევანდელ დღემდე არ არსებობს არც ერთი კრებული, სადაც ეს მასალები ერთად იქნებოდა თავმოყრილი.

პირველი და ყველაზე მთავარი საბუთი ნინოს ისტორიისა - ეს არის ცხოვრება აღწერილი დედოფალ სალომე უჯარმელისა და ლეროჯი ავრიელის (დედოფლის კარის მდივანი) მიერ, რომელიც მოთავსებულია „ქართლის ცხოვრება“-ში.⁴ ის წარმოადგენს უბრალო, ყოველგვარი შელამაზების გარეშე მონათხრობს მისი ცხოვრების შესახებ, რაც სავსებით ეთანხმება სხვა წყაროებში⁵ მოცემულ მასალებს. ზოგიერთი ცნობა არ მოიხსენება სხვაგან, მაგრამ მონათხრობში არაფერია ისეთი, რაც შეიძლება ჩაითვალოს გაზვიადებულად, შეუძლებლად.

მითითებული ცხოვრების გარდა ჩვენ გვაქვს ასევე აბიათარისა და მისი დის სიდონიას⁶ მონათხრობი, რომელიც ასევე ნინოს დროს დაიწერა, მისი უახლოესი მოწაფეებისა და თანამშრომლების მიერ, რომელნიც ეხმარებოდნენ რა მას ქადაგების საქმეში, აუცილებლად ეცოდინებოდათ ყოველივე მის შესახებ. აბიათარისა და სიდონიას მონათხრობები უეჭველად წარმოადგენს სანდო ისტორიულ ამბავს. თუ ქართულ წყაროებში ჩვენ ვპოულობთ ნინოს შესახებ ბევრ ისეთ რამეს, რაც უცხოურ წყაროებში არ არის, ეს უბრალოდ იხსნება. ნინოს ცხოვრებიდან ვიცით, რომ ის ივერიაში ცხოვრობდა 35 წელი და ამ ხნის განმავლობაში არავისთვის მოუყოლია თავისი წარმომავლობის შესახებ, ვიდრე აღსასრულამდე, 347 წელს. მისი მოწაფეების დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, სიკვდილის წინ მაინც მოეყოლა თავისი წარმომავლობისა და საქართველოში ჩამოსვლის შესახებ, მან მოუყვა მათ თავისი ბიოგრაფია და თან დასძინა: „დაიწეროს ჩემი ღარიბი და უღებო ცხოვრება, დაე, თქვენი შვილებთვის იყოს ცნობილი ის თქვენი რწმენა და სიყვარული, რაც ჩემს მიმართ გქონდათ, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი იქნება წლიდან წლამდე ის

³) ქალთა როლის შესახებ, საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ვრცლად უწერია მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილს ჟურნალ „ივერიაში.“

⁴) ქართლის ცხოვრება. ნაწ. 1, გვ.64-77.

⁵) ნინოს მოციქულებრივი ღვაწლის შესახებ ლაპარაკობენ შემდეგი უცხოელი მწერლები: რუფინუსი 1,10; სოკრატე 1,20; მოსე ხორენელი 1858 წ. გვ.152-153; სოზომენი 1,7. ყველა ეს ცნობა მოთავსებული იქნება ჩვენი ესკიზის ბოლოს.

⁶) 1). მოწმობა მღვდელმთავრისა აბიათარისა თავისი მოქცევის შესახებ ქრისტეს სარწმუნოებაზე, ნეტარი ნინოს მიერ. 2). მისივე თქმული „მაცხოვრის კვართის“ შესახებ. მოწმობა და მონათხრობი სიდონიასი, წმიდა ნინოს მოწაფისა, რომელმაც ნახა და აღწერა საოცარი მოქცევა მეფე მირიანისა, ასევე წმინდა ჯვრების აღმართვის შესახებ, ტამრის აშენების შესახებ და მასში აღსრულებული სასწაულების შესახებ. არის ასევე რომის პაპისა და ფრანკთა მეფის წერილები ნინოსა და მთელი ქართველი ხალხისადმი. ქართლის ცხოვრება. ნაწ. 1. გვ.75-101; საქართველოს სამოთხე საბინინისა. - გვ.119-155; Полное жизнеописание святых грузинской церкви Сабинина: ч. 1. стр. 1-66.

ღვთიური ნიშნები, რომელიც თქვენ საკუთარი თვალებით იხილეთ და რისი მოწმენიც ხართ.“ როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, სიკვდილამდე არავისთვის არ უამბნია მას თავისი თავის შესახებ. ივერიელებიც არ იცნობდნენ მას კარგად. ისინი სთვლიდნენ მას მწირად, როგორც ის ყოველთვის უწოდებდა საკუთარ თავს და იცოდნენ, რომ ადავლენდა სასწაულებს. როდესაც ქრისტიანული სწავლებით ივერიის მოქცევის ამბავი მივიდა ნინოს თანამედროვე დასავლელ ისტორიკოს რუფინუსამდე,⁷ მან წყაროებზე დაყრდნობით პირველმა სთქვა, რომ ივერია მოაქცია მწირმა ქალმა. რუფინუსისაგან ეს ცნობები მივიდა სხვებთან და ამგვარად შეიქმნა ისტორიკოსთა შორის აზრი, რომ საქართველო მოაქცია ტყვე მონა ქალმა.

საქართველოს ისტორიისათვის რუფინუსის მოწმობას ნინოს შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა მის მოწმობას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ის არ იყო თვითმხილველი იმ ამბებისა, არამედ იერუსალიმში ჰქონდა განაგონი ქართველი უფლისწული ბაქარისაგან, რომელიც მძევლად იმყოფებოდა იმპერატორთან.

ქართულ ძეგლებში ნინოს შესახებ ნამდვილად არის გვიანდელი წარმოშობის ანაქრონიზმები და ჩანარტები, რაც ადვილად შეიძლება ჩამოშორდეს ქართულ ძეგლებს. ვისთვის არ არის ცნობილი, რომ იშვიათად რომელიმე წერილობითი ძეგლი გადარჩენია ინტერპოლაციებს, განსაკუთრებით საკმაოდ ძველი ძეგლი, რომელშიც ყოველ გადამწერს შეეძლო გაეკეთებინა თავისი განმარტებები და შენიშვნები, მისი აზრით თავისი თანამედროვეებისთვის საჭირო.

უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ IV საუკუნის ძეგლი, მრავალჯერ გადაწერილი უცოდინარი გადამწერების მიერ, მოსულიყო ჩვენამდე ინტერპოლაციისა და გადაკეთების გარეშე. ასეთი ჩანარტები და დამახინჯებები, გაკეთებული შუა საუკუნეებში პტოლომეუსის ცნობილ გეოგრაფიულ ნაშრომში იმდენი იყო, რომ ზოგიერთმა მეცნიერმა ერთ დროს თითქოს დაკარგა იმედი პირველყოფილი ტექსტის აღდგენისა.

ყველა ქართულ თქმულებასა თუ გუჯარში ჩვენი განმანათლებელი იწოდება ნინოდ, ნინად⁸... არც ერთი ძველი ბერძენ-რომაელი ისტორიკოსი არ მოიხსენიებს მას სახელით, მხოლოდ მოსე ხორენელთანაა შემონახული მისი სახელი, ის უწოდებს მას „ნუნე“-ს. რაც შეეხება სახელი ნინოს წარმოშობას, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ ჩვენი განმანათლებლის სახელი მოდის ნონადან,⁹ [რაც ნიშნავს „უმწიკვლოს“, „წმინდანს“, „ქალწულს.“] და რომ ეს საერთო

⁷) საკმაოდ დიდი ნაწყვეტი რუფინუსისაგან მოთავსებულია წიგნში: *Истор. изоб. Грузии*. стр.46-50.

⁸) ნინო, იაკონელების აღორძინების პირველი ერა, დაწყებული ქრისტეს შობამდე 660 წელს; პირველი მიკადო სინ-მუ-ს ასვლა იაკონიის ტახტზე. იხილეთ შედარება *календ. древ. и новых народов М. Лалоша из 3. Спб. 1869г.*

⁹) IV საუკუნეში ერთდროულად მამაკაცთა საერთო საცხოვრებელი მონასტრების აღმოცენებასთან ერთად, გაჩნდა მონასტრები „ნონებისა“, ერთი დედაოს ან აბატისების ხელმძღვანელობით.

წოდება მოღვაწეთა, ქართველთა ბაგეებით გადაიქცა საკუთარ სახელად. ასე წარმოქმნა სახელი ნინო, ნონადან X საუკუნის ქართველმა მწერალმა ეფრემ მთაწმინდელმა თავის ეპისტოლეში ქართველი ეკლესიარტის იოანე კარიონისადმი: „ნონა, ანუ ქართველთა ნინო, ქადაგი წმიდისა სახარებისა და მომფენი ქრისტეს ნათლისა, ბნელსა შინა მსხდომარესა ნათესავსა ჩვენსა;“¹⁰

საზოგადოს გადაქცევა საკუთრად არ არის ერთადერთი მაგალითი ისტორიაში. მსგავს მაგალითს წარმოადგენს გრიგოლ ღმრთისმეტყველის, ნაზიანზელის დედის, ნონას სახელი.

ჩვენი განმანათლებლის ისტორიაში არის ადგილები, რომლებიც არ არიან სათანადოდ გაშუქებულნი, საეკლესიო ისტორიაში კი დღითიდღე მატულობს იმედი მათი უმეტესად გაშუქებისა, ან ახალი წყაროების აღმოჩენით, ან უკვე ცნობილი წყაროების გულმოდგინედ გადასინჯვითა და გარკვევით. ვუთანაგრძნობთ რა, მკვლევართა ძალისხმევას გაშუქდეს ასე თუ ისე მართლაც საინტერესო, ჯერ კიდევ არასრულად გამოკვლეული საკითხი ჩვენი განმანათლებლის სახელის წარმოშობისა, ჩვენც გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებს.

ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ნინო არ არის ჩვენი განმანათლებლის პირველადი სახელი, თუმცა ვერ ადგენენ როდიდან დაერქვა მას ეს სახელი. თუ ეს სახელი გვიანდელი წარმოშობისაა, მაშინ რა ერქვა მას მანამდე? როგორც ადრე აღვნიშნეთ, ძველი ისტორიკოსებიდან მხოლოდ მოსე ხორენელი უწოდებს მას ამ სახელს. დ. ზ. ბაქრაძე უფლისწული ვახუშტის ისტორიასთან დაკავშირებით გაკეთებულ შენიშვნებში, რომლებიც წარმოადგენენ ღრმა და ფართე მეცნიერების ნაყოფს, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მოსე ხორენელმა ისევე როგორც თავისი თქმულება ნინოზე, ასევე მისი სახელი ნუნე, გადმოწერა ქართული წყაროებიდან.¹¹ თუ მართებულია ქართველი ისტორიკოსების აზრი, რომ „ნინო“ მომდინარეობს „ნონა“-დან, ეს ნიშნავს, რომ ნინოს ეს ქართული სახელი უნდა ამოეწერა მოსე ხორენელს ქართული თქმულებებიდან, ამ დროს კი ის უწოდებს მას ნუნეს. ეს სახელი არ გვხვდება არც ერთ ქართულ წყაროში.

ქართველი ისტორიკოსები რომელნიც ამტკიცებენ, რომ ნინოს სახელი მომდინარეობს ნონადან, ეყრდნობიან მხოლოდ იმ ფაქტს, რომ სავარაუდოდ ნინო ორი წლის განმავლობაში იყო მონაზონთა საზოგადოება „ნონა“-ის წევრი და ამ საზოგადოებიდან მიიღო მან თავისი სახელი. მაგრამ ეს სადაო საკითხია, მართლა იყო თუ არა ნინო საზოგადოება „ნონა“-ის წევრი და მეორე, ამ საზოგადოების ყველა წევრს აუცილებლად ამ სახელს არქმევდნენ, მონასტრის დატოვების შემთხვევაში?

სახელწოდება „ნონა“ მომდინარეობს კოპტური სიტყვიდან „Nonna,“ რაც ნიშნავს უმწიკვლოს, ქალწულს, წმინდანს; Nonnus - გვხვდება ბერის ნაცვლად, Nonne - ქალი მონაზონი.

¹⁰) იხ. Жизнеопис. св. прославл. правосл. грузин. церковию - Пл. Иосселиани. стр. 29, прим. 1.

¹¹) ვახუშტი - საქართველოს ისტორია. - გვ.73-75. სხოლ. 3.; პლატონ იოსელიანის აზრით, მოსე ხორენელის ნუნე იგივეა რაც ნონა. იხ. Жизн. свят. стр.29.

მოსე ხორენელის ისტორიიდან, სადაც ჩამოთვლილია ნინოს რამოდენიმე მეგობარი, არც ერთს არ ჰქვია ნონა. სახელი ნინა ძალიან წააგავს წარმართული ღვთაების სახელს ათინას, რომელსაც განსაკუთრებით მიაგებდნენ პატივს დასავლეთ ივერიაში. უძველესი კაპადოკიის მოსაზღვრე ქართულ პროვინციაში, მესხეთში, ძალზე ხშირად „ნინა“-ს ნაცვლად გამოიყენება დღევანდლამდე „ნენე“, „ნანე“,¹² თუ სახელი ნინო, არ არის დასავლეთ საქართველოს წმინდა ადგილობრივი სახელწოდება,¹³ ხომ არ წარმოსდგება „ნინა“, „ნენე“ და „ნუნე“ ნუნეხისაგან¹⁴ და ნუნეხია ხომ არ არის ჩვენი განმანათლებლის პირველსაწყისი სახელი?

მოციქულთა, ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ დასავლეთ საქართველოში დაწყებული საქმე ღმრთის განგებულებით უნდა დაესრულებინა წმინდა ნინოს, რომელიც იყო კაპადოკიიდან,¹⁵ ქალაქ კოლოსტრადან.¹⁶ მისი მშობლები რომაელი მხედართმთავარი ზაბულონი, დიდმოწამე გიორგის ნათესავი და სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის და, იყვნენ მაღალი წოდების წარმომადგენლები და გამორჩეულნი ღმრთისმოსაობით. ნინო იყო მათი ერთადერთი შვილი. საწყისი განათლება მან მიიღო მშობლიურ სახლში, დედამისის ხელმძღვანელობით. ღმრთისმოსავი სუსანა ცდილობდა სიყრმიდან ჩაენერგა თავის შვილისთვის ღმრთის შიში და განევითარებინა ქრისტიანული სათნოებები. მაგრამ მცირე დროით შეიქმნა ნინო თავისი მშობლების ნუგეშისა და სიხარულის საგანი. ძალიან მალე მოაკლდა მას დედისა და მამის ნაზი მზრუნველობა. ზაბულონმა გადაწყვიტა უფლისთვის მიეძღვნა თავი და იორდანეს უდაბნოში გასწია სამოღვაწეოდ. არც ნინოს მცირეწლოვანებამ და არც მამამშვილურმა სიყვარულმა არ შეაჩერა ზაბულონი ამ ნაბიჯის გადასადგმელად. გამომშვიდობებისას მან თორმეტი წლის ნინოს უთხრა: „შენ ხარ ჩემი მხოლოდმობილი ქალიშვილი და აი მე შენ გტოვებ ობლად და ვაბარებ შენს თავს ზეციურ მამას, ყოველთა გამომზრდელს. ის არის მამა ობოლთა და ქვრივთა ქომაგი. ნუ გეშინია. მიჰბაძე ქრისტეს სიყვარულში მარიამ მაგდალინელსა და ლაზარეს დებს. თუ შენ ისევე შეიყვარებ ქრისტეს, როგორც მათ შეიყვარეს, მაშინ ის არ დაგტოვებს შენ წყალობის გარეშე.“ სუსანასა და ნინოს ბედზე იზრუნა ნინოს ბიძამ,

¹²) ქართლის ცხოვრება მღვ. ივ. გვარამაძისა. გვ.251-252.

¹³) ძველ დროში საქართველოში ნათლობისას ყოველთვის არ არქმევდნენ წმინდანთა სახელებს; ბერძნები სულ თავიდან, ყირიმის კამპანიის დროს, კუნძულ კანდიაზე მრავალ ახალდაბადებულს არქმევდნენ მენციკების (მენჭიკების) სახელებს.

¹⁴) ბერძნულად ნიშნავს გონების მქონეს. მოხსენიება 10 მარტს და 16 აპრილს. პირველი აწამეს 252 წელს, მეორე კი 290 წელს.

¹⁵) 1877 წელს დ. ი. ჩუბინაშვილმა ტფილისში რომაელი მწერლების შემდეგ ქართულ ენაზე გამოსცა ბროშურა სახელწოდებით: „იმ ხალხთა ეთნოგრაფია, რომლითაც იყო დასახლებული ძველი კაპადოკია.“ ამ ბროშურაში დ. ი. ჩუბინაშვილი მთელი რიგი მოსაზრებებით, სტრაბონის, იოსებ ფლავიუსისა და სხვა ძველ მწერალთა გამონათქვამების, ასევე მრავალი ქართული სახელწოდების მქონე დასახლებებზე დაყრდნობით, მიდის დასკვნამდე, რომ მცირე აზიის საფაშოები - სივასი, კარამანია და ტრაპიზონი დასახლებული იყო ქართული ტომებით, რომელნიც დღესაც სახლობენ იქ, ჭანების სახელწოდებით.

¹⁶) ვახუშტის მიხედვით - კოსტრა, სომხურ ქრონიკებში - კლოსგატა. ნახეთ ბროსეს ისტორია გვ.90, შენიშვ. 6.

იერუსალიმის პატრიარქმა. სუსანა განამწესეს დიაკონისად, რათა ემსახურა ღარიბთა და უძლურთათვის, ხოლო ნინო მიაბარეს ღმრთისმოსავ მონაზონს ნიაფორას,¹⁷ რომელიც ცხოვრობდა უფლის საფლავთან. და განა უკეთეს რომელ ადგილას შეიძლება განეწესებინა თავის დისშვილი იუბენალს? სხვა სად, რომელ ადგილას შესძლებდა ყრმა ქალწული შეესწავლა წმინდა სჯული, შეემეცნებინა სამყარო და განესაზღვრა თავისი ცხოვრება შესაბამისად ზეციური შთაგონებებისა თუ არა ტაძარში? როგორც ჩანს ყველა ძველი გადმოცემიდან, როგორც უცხოურიდან, ისე მშობლიურიდან, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა წმიდა ნინო ღმრთისმოსაობით, ჭკუით და სიმდაბლით მსგავსად ნიაფორასი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა წმინდა წერილი და ამას გარდა დიდი ხნის განმავლობაში მსახურებდა მაცხოვრის საფლავთან, იცოდა ბევრი გარდამოცემა და თავისი მონათხრობებით აოცებდა თავის ღმრთისმოსავ ყრმა აღსაზრდელს. რას არ შეიმეცნებდა ნინო ასეთი მასწავლებლისაგან? ამ ღმრთისმოსავ მონაზონთან ღმრთის განგებულებით ის ემზადებოდა მსოფლიო ღვაწლისათვის. ნინო ხშირად ეკითხებოდა თავის გამზრდელს იესო ქრისტეს წამების, ჯვარცმის, სიკვდილის, დაფლვისა და აღდგომის შესახებ, მოსასხამის, კვართისა და სხვა მისი შესამოსელის ამბებს. ნინო ყოველთვის მღელვარებით ისმენდა ხოლმე დაწვრილებით მონათხრობს გოლგოთაზე წამებულისა და მისი კვართის ადგილსამყოფელის შესახებ. ნიაფორას სიტყვები კვართის ბედის შესახებ ღრმად ჩაუვარდა ნინოს გულში. მისი ყოველწამიერი ფიქრი იყო მაცხოვრის ძვირფასი შესამოსელის პოვნა და კეთილი უწყების ხარება ივერიაში - წარმართთა ქვეყანაში.

არ არსებობს არსება უფრო ნაზი, რომელსაც სჭირდება მფარველობა და უფრო მშვენიერი, ვიდრე ყრმა ქალწული, რომლის სათნოებანიც არ არის დალაქავებული ამა სოფლის ზეგავლენით. უფლისათვის ქალწულის შეუდარებელი სული არის უსუფთავესი და ყველაზე სასურველი ადგილი დედამიწაზე. მსოფლიო ისტორიაში არც თუ იშვიათად უფალი ირჩევდა სუსტი, მორჩილი ქალწულის პიროვნებას მისი ძალისა და ღმრთაებრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი გაცხადებებისათვის. დრო და დრო ის აგზავნიდა არსებებს, რომელნიც იყვნენ თითქოსდა ანგელოზები ადამიანის სახით, რათა თავიანთი სათნოებების სილამაზით მივეზიდეთ ჩვენ მათკენ, რომ გამოვლენილიყო ამა სოფლისათვის უდიდესი საიდუმლო სიყვარულისა, რომლითაც ღმერთი ერთიანდება ადამიანის სულთან. უფალი აძლევდა მათ თავის ძალას, როდესაც ისინი ითხოვდნენ ამას. ხოლო ბუნების კანონების შესანიშნავი გარდაქმნა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სასწაულებს, მათთვის იყო ჩვეულებრივი ქმედებები. ასეთ დესპანთა რიცხვს მიეკუთვნება წმინდა ნინოც.

არსებობენ პიროვნებები, რომელნიც თავიდანვე მოწოდებულნი არიან ცხოვრების გარემოებებისა და სულის სიღრმეში არსებული საიდუმლო გამოუცნობი

¹⁷) სომხურ ქრონიკებში მას უწოდებენ ბეთლემელს. (ბროსე 91,6). პლატონ იოსელიანი ნიაფორს უწოდებს სარა ბეთლემელს (საქართ. ეკლ. მოკლე ისტ. გამოცემა მეორე, გვ.8.) ნინოს ცხოვრებაში კი ის მოიხსენიება, როგორც სომეხი ქალაქ დვინიდან.

შთაგონებით, რომ იყვნენ ღმერთის ნების იარაღები ისტორიაში. ოჯახურმა გადმოცემებმა, აღზრდის ადგილმა და ხასიათმა გადააწყვეტინეს ნინოს თავი შეეწირა ღმრთის საქმისათვის, ხოლო უფლის კვართის შესახებ ნაამბობმა მისცა მიმართულება და ფრთები შეასხა მის გაურკვეველ კეთილშობილ სწრაფვას. მას უჩნდება სურვილი გადაარჩინოს ცდომილებისაგან უფლის კვართის სამყოფელი ქვეყანა ივერიისა, რომელიც უნდა განათლდეს ქრისტეს რწმენით. ამ სურვილს არაერთხელ შეუშფოთებია ქალწულის მომხილველი სული, მაგრამ საკუთარი თავის უღირსებისა და ქალური უძლურების შეგნებას სრულ უიმედობაში მოჰყავდა ის. ნინო მრავალჯერ მიმართავდა ლოცვით ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, სთხოვდა მას შუამდგომლობასა და თანადგომას ასეთი ძნელი საქმის აღსასრულებლად. მისი ლოცვა შესმენილ იქნა და ღმრთისმშობელმა მარიამმა სიზმრისეულ ხილვაში აკურთხა ნინო გამგზავრებულიყო ივერიაში, თავის წილხვდომილ ქვეყანაში, მოციქულებრივი ღვაწლის აღსასრულებლად. ღმრთისმშობელმა მას გადასცა ვაზის ტოტის ჯვარი,¹⁸ რომელიც წმიდა ნინომ თავისი თმებით შეკრა და ეს ამბავი აუწყა თავის ბიძას, იერუსალიმის პატრიარქს. როდესაც დადგა შორეული მოგზაურობისათვის შესაბამისი კარგი დრო, პატრიარქმა მიიყვანა ნინო მაცხოვრის ტაძრის საკურთხეველთან, თავზე დაადო მისი მაკურთხეველი ხელები და ასე ილოცა: „უფალო ღმერთო, ჩვენო მაცხოვარო, გაბარებ ამ დაუცველ ყრმა ქალწულს, ვაგზავნი მას შენი ღმრთაებრიობის საქადაგებლად! იყავი მისი თანამგზავრი, ქრისტე ღმერთო, და მოძღვარი ყველგან, სადაც კი მისი ბაგეები იქადაგებენ შენზე და მიეცი მის სიტყვებს ძალა და სიბრძნე, ისეთი, რასაც წინ ვერაფერი ვერ აღუდგება. ხოლო შენ, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, ყოველთა ქრისტიანთა შემწეო და ქომაგო, ეს შენი რჩეული, შენი შვილის, ჩვენი ქრისტე ღმერთის სახარების საქადაგებლად ღმრთისმბრძოლ ტომებში, ზეციდან შეაიარაღე შენი ძალით ხილული და უხილავი მტრების წინააღმდეგ, იყავი მუდამ მისი მფარველი და დაუმარცხებელი მცველი და არ დატოვო ის შენი წყალობის გარეშე მანამ, სანამ არ შეასრულებს შენს წმინდა ნებას.“

მიიღო რა მგზავრობისათვის კურთხევა თავისი ბიძისაგან, წმიდა ნინო, ერთ დიდებულ ქალბატონთან ერთად, რომელიც იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის თაყვანისცემისათვის იყო ჩასული, გაემგზავრა ივერიაში მძიმე ღვაწლისათვის. როდესაც მიაღწიეს ეფესოს, ნინო შეუერთდა დედოფალ რიფსიმესა და მის ორმოცდაცამეტ მეგობარს,¹⁹ რომელნიც დიოკლიტიანეს დევნას გამოექცნენ. მათთან ერთად ნინომ ჩააღწია სომხეთის სამეფოში. დიოკლიტიანეს დევნას გადარჩენილი ქალწულები ვერ დაემალნენ ტიგრანს, რომელმაც ნინოს გარდა ყველა ამოხოცა. ნინო სასწაულებრივად გადაურჩა ტიგრანის რისხვას. ღმერთის განგებულებამ, რომელიც

¹⁸) ამ ჯვრის შემდგომი ბედის შესახებ, რომელსაც სომხები შუშანიკის ჯვარს უწოდებენ, საკმაოდ ბევრია დაწერილი. შუშანიკის შესახებ ჩვენ განვათავსეთ ჩვენი შენიშვნები.

¹⁹) სომხეთის ეკლესია ამ წმინდანების ხსოვნას დღესასწაულობს წელიწადში 6-ჯერ სხვადასხვა დღეს, წმინდანთა ცვალებად დღესასწაულებზე. მათი წმინდა ნაწილები ეჩმიაძინის მონასტერშია დავანებული.

ნინოსთვის ამზადებდა უდიდეს საასპარეზო მოედანს მოღვაწეობისათვის, გადაარჩინა ის ივერიის განსანათლებლად.

ნათელმოსილი ანგელოზი ეცხადება მას და ეუბნება: „ადექი და წადი ჩრდილოეთის ქვეყანაში, სადაც ბევრია სამკალი, ხოლო მომკელი კი არა.“ მოსე ხორენელის მოწმობით „ნინოს ემოსა კვართი, ის იყო უცხო ქვეყანაში, განშორებული ყოველივე მიწიერს და მიჯაჭვული ჯვარზე. მოგზაურობისას ის ხშირად მარტო დადიოდა, გზისგან დაღლილი და გარეული ცხოველებისაგან შეშინებული. მუდმივად მმარხველსა და მლოცველს ჰქონდა ხილვები. საკვებს მგზავრებისაგან ითხოვდა. სომხეთიდან, აგრძელებს იგივე ისტორიკოსი, ნინო გაემგზავრა ივერიაში.“²⁰

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის მიერ, ნათლად ჩანს, რომ წმიდა ნინო არ იყო ტყვე, როგორც ამას ვარაუდობს რუფინუსი თავის საეკლესიო ისტორიაში, და მოციქულებრივი ღვაწლი არ იყო მისთვის შემთხვევითი საქმიანობა, რასაც თითქოს უბიძგა ქრისტიანობის მიმართ აღძრული დევნისაგან თავის გადასარჩენად გაქცევამ, როგორც ფიქრობს მეუფე მაკარი, მოსკოვის მიტროპოლიტი.²¹ პირიქით, ვინც კი წაიკითხავს ყურადღებით ყოველივეს რაც წმინდა ნინოზეა ნათქვამი, არ დაეჭვდება იმაში, რომ წმიდა ნინო თავისი ნებით მოვიდა საქართველოში და მისი მოციქულებრივი ღვაწლი იყო ნაყოფი შინაგანი შეგნების, რომელიც მას გამოუმუშავდა მისი ცხოვრების მთელი რიგი გარემოებების შედეგად. გავიხსენოთ ნინოს პირველდაწყებითი განათლება დედამისის სუსანასა და ღმრთისმოსავი ნიაფორას ხელმძღვანელობით, მისი ღრმადქრისტიანული განწყობილებები და სულიერი ღვაწლის სურვილი, რომლითაც ის, როგორც მისი ცხოვრებიდან ჩანს, გამოირჩეოდა ადრეული წლებიდანვე და ჩვენ გავიგებთ, რომ აზრი, დახმარებოდა ივერიელებს და გამხდარიყო ღმრთისმშობლის წილხვედრი მიწისათვის ღმრთის მადლის მაუწყებელი, უნდა მოსვლოდა ჯერ კიდევ იერუსალიმში, როდესაც ის იმყოფებოდა მაცხოვრის საფლავთან და ისმენდა მონათხრობს მაცხოვრის კვართის შესახებ, რომელიც ივერიაში იმყოფებოდა. „ჭემმარიტად, მე ვარ ტყვე, ამბობდა ის, მაგრამ ტყვე და მონა ზეციერი მეფისა, იესო ქრისტესი, დავატყვევე რა ჩემი გონება მისი წმიდა ნების მორჩილებაში.“ ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ნინო იყო იმ რჩეულთაგანი, რომელნიც საკუთარი თავის შიგნით პოულობენ თავის საკეთებელს - შეასრულონ ისტორიული საქმე და მთლიანად უძღვნიან თავს მას. ხელსაყრელმა გარეგნულმა გარემოებამ, დიოკლიტიანესა და ტიგრანის დევნამ, მხოლოდ ხელი შეუწყო უდიდესი წარმატებით განეხორციელებინა ის, რისთვისაც იყო მოწოდებული.

²⁰) იხ. История Моисея Хоренского. Перев. Эмина, Москва 1858 г. кн. III, стр. 153.

²¹) იხ. Христианство в России до св. кн. Владимира. стр. 145-195.

სომხეთიდან წმინდა ნინო გამოემართა ჩრდილოეთისაკენ, საქართველოს საზღვრებისაკენ. მიაღწია რა მის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციას,²² მგზავრობისგან, შიშისაგან, შიმშილისაგან დაქანცულს, ჯვრით ხელში ჩამოეძინა ქვაზე.

სიზმრისეულ ჩვენებაში ეცხადება მას ზეციური მასწავლებელი. ამხნევებს, იაროს ნაბრძანები გზით და აძლევს მას საოცარ გრაგნილს, რომელზეც სახარებისეული ათი გამონათქვამია დაწერილი. ბევრი დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ის აღწევს ქალაქ ურბნისს. დარჩება ცოტა ხნით ურბნისში და შეუერთდება ქალაქ მცხეთაში არმაზის ღვთაების დღესასწაულზე მიმავალ ხალხს. მცხეთის მოპირდაპირე მთის მწვერვალზე ნინოს წარმოუდგება შემდეგი სურათი; გაისმა საყვირების ხმა, დაფდაფების ბრახუნი, დაიწყო კმევა და დაინთო სანთლები, რასაც მოჰყვა ლოცვები და გოდება. მეფე მირიანი მთელ ერთან ერთად დავარდა მიწაზე დიდი კერპის წინაშე, რომელიც ორი სხვა არანაკლებ საშიში შესახედაობის კერპის შუაში იდგა. ამ მთავარ კერპს ჰქონდა ყოვლისშთანმთქმელი იაგუნდისა და ზურმუხტის თვალები, ოქროს ჯავშანი და მოსასხამი. ამ საშინელი სანახაობით შემრულმა ნინომ ზეცას ადაპყრო ხელები და ილოცა: „ყოვლადმლიერო ღმერთო! მოხედე მოწყალებით ამ ხალხს რათა შეგიცნონ შენ, ჭემმარიტი ღმერთი, დაამსხვრიე და დაამხე ეს კერპები, ვითარცა ქარი განაზნევეს მტვერსა და ფერფლს, გარდამოიხილე მოწყალებით ამ ხალხსა ზედა, შენითა ყოვლადმლიერთა მარჯვენითა შექმნილსა, რომელნიც ღირს ჰყავ შენი ღმრთაებრივი ხატებით. შენ უფალო, რომელმაც ისე შეიყვარე შენი ქმნილება, რომ მიეცი მხოლოდშობილი ძე შენი დაცემულთა გამოსახსნელად, გამოგლიჯე ამ ხალხის სულები, წყვიადის თავადის დამღუპველი ძალაუფლებისაგან, რომელმაც დააბრძავა მათი თვალები და ისინი ვერ ხედავენ ჭემმარიტ გზას ხსნისაკენ. ინებე უფალო, რათა ჩემი თვალებით ვიხილო აქ აღმართული ამაყი კერპების სრული განადგურება. გააკეთე ისე, რომ ამ ხალხმა და დედამიწის ყოველმა კუთხემ დაინახოს შენი მაცხოვარება. განიხარონ შენით ჩრდილოეთმა სამხრეთთან ერთად და თაყვანის-გცენ ყოველმან ერმან შენ, მარადიულსა მამა ღმერთსა და მხოლოდშობილსა ძესა შენსა, ჩვენს უფალს იესუ ქრისტეს, რომელსაც ეკუთვნის მარადიული დიდება.“ ვერ მოასწრო წმინდა ნინომ ამ ლოცვის დასრულებას, რომ უეცრად უღრუბლო ცაზე ახმაურდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც დაანგრია და მილეწ-მოლეწა კერპები და მათი სამსხვერპლოები. იხილეს რა სავალალო ხვედრი თავიანთი კერპებისა უცნობი ღმერთის მიერ განადგურებულებისა, მეფემ, ხალხმა და კერპმსახურმა ქურუმებმა გაქცევით უშველეს თავს. ეს მოხდა 6 აგვისტოს, მაცხოვრის ფერისცვალების დღეს, როდესაც თაბორის ნათელმა, საქართველოს მთებზე ამობრწყინებულმა, ივერიელთა წარმართობის წყვიადი გარდაქმნა ქრისტეს ნათლად. ცოტა ხნის შემდეგ წმინდა ნინო, ვითარცა მწირი დაეშვა მთიდან მცხეთაში და მეფის მეღვინეთუხუცესის

²²) ნინოს საქართველოში ჩამოსვლის ხანად ისტორიკოსი ბარათაშვილი მიიჩნევს დიოკლიტიანეს მეფობის წლებს. იხილეთ მისი საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეები. გვ.9.; დიოკლიტიანე, როგორც ცნობილია 305 წელს ნებაყოფლობით გადადგა ტახტიდან - მღვდელი გვარამაძის აზრით 314-317 წ. იხ. მისი „ქართლის ცხოვრება“ გვ.278.

ცოლის, ანასტასიას, დაპატიჟებით დასახლდა ერთ უბადრუკ კარავში. წმინდა ნინოს ლოცვით უშვილო ცოლ-ქმარს, რომელთაც შეიფარეს კეთილმაუწყებელი ყრმა ქალწული, შეეძინათ შვილი. ამ დროიდან იწყება ნათელი წყება მისი ლოცვითი ღვაწლის, მოციქულებრივი შრომისა და სასწაულების.

ვიდრე სიტყვით დაიწყებდა იესო ქრისტეს ხარებას, მან იქადაგა ის თავისი ღვთისმოსავი, მართალი და წმინდა ცხოვრებით. წმინდა ნინომ უცხოური და მშობლიური გადმოცემების თანახმად მიიპყრო ხალხის ყურადღება.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ვიღაც ბავშვი, სოკრატეს მიხედვით მეფის შვილი, გახდა ავად და ქვეყანაში არსებული ჩვეულების²³ თანახმად, ერთი ქალიდან მეორესთან მიჰყავდათ, რომელსაც შეეძლო მისი ტანჯვის შემსუბუქება. როდესაც ჰკითხეს უცხო მწირს, მან განაცხადა, რომ აქ ყოველგვარი სამედიცინო ცოდნა უმაქნისია. დააწვინა ბავშვი საწოლზე და სთქვა: „ქრისტე, რომელმაც განკურნა მრავალი, განკურნავს ამასაც.“ ამის შემდეგ მრავალი ადამიანი მიდის ნინოსთან და მისი ღმრთივკურთხეული ბაგეებით ისმენს სწავლებას ცათა სასუფეველის შესახებ და იღებს ქრისტეს სარწმუნოებას. მეზღვის ცოლი, სიდონია, ექვსი მისი დაქალი, მეფის მეზღვე და აბიათარ მღვდელი, რომლისგანაც ნინომ გაიგო, რომ ელიოზის მიერ ივერიაში ჩამოტანილი ქრისტე ღმერთის კვართი დამარხულია სამეფო ეზოს შუაში დიდებული, ფართოფოთლოვანი კედარის ქვეშ. გამოუსწორებელი ებრაელები, ქართველთა გადმოცემით, ყველანაირ ღონეს ხმარობდნენ, რომ ხელი შეეშალათ მცხეთის ებრაელებს²⁴ შორის გავრცელებულიყო ქრისტიანობა, მაგრამ ძალიან ძნელი იყო ებრაელებისათვის იუდეველობაში დარჩენა, მაშინ როცა მათმა თავმა - აბიათარმა, მოსეს რჯულის წარმომადგენელმა და მცველმა პირველმა დატოვა იუდეველობა და პავლე მოციქულის მსგავსად შეიქმნა ქრისტიანობის დამცველი. ამრიგად ქრისტიანული იდეები სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და ღრმა ფესვებს იდგამდა და მათ მიაღწიეს სამეფო ოჯახამდეც. ნინოს ლოცვებითა და ყოველდღიური სასწაულებით²⁵ იზრდებოდა მორწმუნეთა რიცხვი. ნინოს სასწაულების შესახებ გაიგო დედოფალმა ნონამ, რომელიც იმ დროისათვის მძიმედ იყო დასნეულებული. განკურნების იმედით დედოფალი პატიჟებს ნინოს სასახლეში, მაგრამ ნინო უარს ამბობს წასვლაზე და უხმობს მას თავის უბადრუკ კარავში. დედოფალი ემორჩილება, განიკურნება და იღებს ქრისტიანულ სწავლებას.

²³) ეს ჩვეულება გადმოვიდა ჩვენთან როგორც ეტყობა ბაბილონელებისაგან. მათ ჰქონდათ ჩვეულება ასეთი. ქუჩაში შეიყრებოდნენ და ბჭობდნენ ამა თუ იმ ავადმყოფობის განკურნებაზე. ავადმყოფები გამოჰყავდათ ქუჩაში და იქ ხდებოდა ექიმთა მოლაპარაკება, კონსილიუმი. იხ. Древ. ист. Ас. и Вав. ср. Ленормана т. 1, вып 2. стр. 358.

²⁴) რწმენისაგან განდგომილებს მოსეს რჯულის თანახმად (მეორე რჯული 13,1) ქვებით ქოლავდნენ. ებრაელების ასეთმა ფანატიურმა დამოკიდებულებამ იუდეური რელიგიის დამტოვებლების მიმართ გამოიწვია თეოდოსიური კოდექსის დაკანონება, რომლის ძალითაც მკაცრად ისჯებოდნენ ის ებრაელები, რომლებიც ბედავდნენ ძალის გამოყენებით დაეშალათ მათი თანამშენისათვის ნებაყოფლობითი გაქრისტიანება.

²⁵) იხ. სელეუზნიოვის სტატია: „Рассказы о чудесах Нины классических и верных писателей“ Маяк 1844 г. т. 15. стр. 33-34.

ჭემმარიტად ქრისტეს მორწმუნე ნანას სურს, რომ მისი მეუღლე არ ჩარჩეს წარმართობაში და ამ მიზნით სთავაზობს მირიანს ქრისტიანულ რელიგიას, მაგრამ ის ჯიუტობს და აღშფოთებული უყურებს დედაქალაქში მზარდ ქრისტიანობას. გვირგვინოსანს გული კიდევ უფრო გაუსასტიკდა, როდესაც ნინომ განკურნა მასთან სტუმრად ჩამოსული სპარსეთის მეფის ნათესავი და მოაქცია ის ქრისტიანობაზე. მირიანმა გადაწყვიტა ძირფესვიანად გაენადგურებინა ახალი სწავლება თავის რეზიდენციაში, მაგრამ ნადირობის დროს დაბრმავებულმა²⁶ მისცა აღთქმა ღმერთს, რომ მიიღებდა ქრისტიანულ სწავლებას და მყისიერად განიკურნა სულიერად და ხორციელად. ქრისტიანობაზე მოქცევამდე მირიანის გონება დაფარული იყო ისეთი სქელი ნისლით, რომელშიც ვერ აღწევს მზის სხივი. როგორც იუდეველების უნამუსობა გახდა იარაღი ღმრთაებრივი მადლისა, ასევე დაბრმავება ქართველი მეფისა იყო საბაბი ღმრთაებრივი დიდების გამოჩენისა და მიზეზი „მარადიული სინათლისა.“ ახალი სწავლების მიმდევარი მეფე მირიანი გახდა ქრისტიანობის მფარველი. წარმართულ საკერპოებზე დაიწყეს ჯვრების აღმართვა. არმაზის შემუსრვისა და პატიოსანი ჯვრის აღმართვის შესახებ მოსე ხორენელი გვიამბობს შემდეგ: „ნუნემ მყისიერად დაამხო არმაზის უზარმაზარი გამოსახულება, რომელიც იდგა ქალაქის გადაღმა და გამოყოფილი იყო მდინარით. მაცხოვრებლებს ჰქონდათ ჩვეულება, ყოველ დილით საკუთარი სახლებიდან თაყვანი ეცათ, თავი მოედრიკათ კერპისთვის, რომელიც მათ თვალწინ იყო აღმართული. ხოლო ვისაც უნდოდა მიეტანა მსხვერპლი უნდა გადასულიყვნენ მდინარეზე და ტაძრების წინ აღასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას. მეფის ნაცვალნი აღშფოთდნენ და ამბობდნენ: ვის უნდა ვსცეთ თაყვანი კერპების ნაცვლად? გაიგეს, რომ ქრისტეს ჯვარს. გააკეთეს ჯვარი და აღმართეს ქალაქის აღმოსავლეთის მხარეს ლამაზ გორაკზე, რომელიც ასევე გამიჯნული იყო ქალაქისაგან პატარა მდინარით. დილით, გათენებისას ყველა მაცხოვრებელმა ჩვეულებისამებრ თაყვანი სცა ჯვარს თავისი სახლის ბანებიდან. მაგრამ როდესაც ავიდნენ ბორცვზე და ნახეს ხის ნაჭერი არამხატვრულად გარანდული, განაცხადეს, რომ ტყეები სავსეა მსგავსი ხეებით და ამიტომ დაიშალნენ. მაგრამ უფალმა თავისი მადლით მოხედა მათ ცდუნებას და ზეციდან დაუშვა ღრუბლის ძელი, მთელი მთა აივსო კეთილსურნელებით: გაისმა უამრავი მეფსალმუნის ტკბილი ხმა და გამოჩნდა ნათელი ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ხის ზომის იყო და მისი მსგავსი. ის დაადგა თორმეტი ვარსკვლავით იქ აღმართულ ჯვარს: ყველამ ირწმუნა და თაყვანი სცა ჯვარს. მას შემდეგ ამ ჯვრის მიერ ბერვი სასწაული მოხდა და მრავალი განიკურნა.“²⁷

²⁶) ეს იყო კონსტანტინე დიდის მეფობის ერთ-ერთ წელიწადს, როდესაც 20 ივლისი იყო შაბათი. ეს მონაცემები შემოწმებულია ბერეზოვის მიერ და აღმოჩნდა, რომ 318 წელს 20 ივლისი იყო შაბათი. „მე ვფიქრობდი, მირიანის თავს წყვდიადის დატყდომა, მიმეწერა მზის დაბნელებისათვის, ამბობს ისტორიკოსი ბარათაშვილი, მაგრამ ასტრონომმა კნორემ 1863 წლის 28 მაისის მოწმობით N545, გამაგებინა, რომ მის მიერ შესრულებული გამოთვლებით 317 წელს იულიუსის კალენდრით ახალი მთვარე შემოვიდა 7 ივლისს, ამიტომ იმ წელს 20 ივლისს (ქართლის ცხოვრება) შეუძლებელია ყოფილიყო მზის დაბნელება.“ ბარათაშვილი - საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეები. გვ.11.

²⁷) იხ. История Армении Моисея Хоренского кн. III, стр. 153.

სანამ ერი მოინათლებოდა, მირიანს უნდა დაემყარებინა ურთიერთობა ბერძნებთან, რათა საქართველოს მომავალი ეკლესიისთვის იერარქიულ მოწყობაში გარკვეულიყო. ნინოს რჩევით მეფემ ააშენა პატარა ტაძარი და მიმართა თხოვნით საბერძნეთის უდიდეს იმპერატორ კონსტანტინეს გამოეგზავნა ეპისკოპოსი და პრესვიტერები ქართველი ერის მოსანათლად. დღითიდღე ახალი სწავლების მომხრეთა რიცხვი იზრდებოდა, ცეცხლთაყვანისმცემლობა სულ უფრო და უფრო კნინდებოდა და ამ სტიქიის ნაცვლად ქართველთა გულებში აღიგზნებოდა ქრისტიანული სწავლება. არც ძალიან განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი ქართველთა განათლების საქმე სომეხთა ჰეროდოტეს, მოსე ხორენელს, რომლის ისტორია, სხვათაშორის, დღევანდელ დღეს არათუ სახარბიელო რეპუტაციით სარგებლობს. მისი სიტყვებით, წმ. ნუნე, დარწმუნდა თუ არა, რომ მეფე სრულიად მზად იყო მიეღო ქრისტიანობა და მონათლულიყო „მოითხოვა სანდო ხალხი, რომელნიც გაამგზავრა წმინდა გრიგოლთან საკითხავად - თუ რა უნდა გაეკეთებინა მას ამიერიდან, ვინაიდან ივერიელებმა ნებაყოფლობით მიიღეს სახარების ქადაგება. ნინო იღებს ბრძანებას დაამხოს კერპები, მისი მაგალითით და აღმართოს წმინდა ჯვრის გამოსახულებები მანამდე, სანამ უფალი მისცემს მწყემსს მათ დასამწყემსად.“²⁸

რასაკვირველია, შეიძლებოდა სომეხი ისტორიკოსის სიტყვების დაჯერება; მეფე მირიანს და ნინოს, საქართველოსა და სომხეთის სამეფო სახლებს შორის არსებული მჭიდრო ნათესაური კავშირის²⁹ გამო, შეეძლოთ წმ. გრიგოლ განმანათლებლისგან რჩევა ეკითხათ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამას ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოება. აქამდე ყველას სიტყვაზე სჯეროდა სომეხი მწერლების ჩვენებები იმის შესახებ, რომ მათ საქართველოზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა,³⁰ მაგრამ ასე იყო სინამდვილეში? მივმართოთ მათ ისტორიას. მოსე ხორენელის სიტყვებიდან ჩანს, რომ როდესაც წარმართმა ტირიდატემ აწამა დედოფალი რიფსიმე და მისი მეგობრები, ნინო გამოემართა ივერთა ქვეყნისაკენ. ამ დროს წმ. გრიგოლი ჯერ კიდევ იმყოფებოდა საპყრობილეში. ნინომ კი, როგორც მოწმობს მისი ცხოვრება, სამ წელიწადში მოაქცია ქრისტიანობაზე დედაქალაქის ქართველები და შესაბამისად ნინოს მოციქულებრივი ღვაწლი წინ უსწრებდა წმ. გრიგოლის მოღვაწეობას და როგორც ჩანს მიმდინარე მოვლენებიდან, ნინო ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა რჩევისათვის მიემართა წმ. გრიგოლისთვის, სომხეთის განმანათლებელისთვის.

თავისი თხზულების ერთ ადგილას დოსითეოსი,³¹ იერუსალიმის პატრიარქი, სომეხთა მიერ წარმოდგენილ დამამტკიცებელ საბუთებზე ამბობს: „სომეხთა ჩვენებები, რომ გრიგოლ განმანათლებელმა დააყენა საქართველოში პატრიარქი, მცდარია, ვინაიდან, ყველა სულიერი ისტორიკოსი თანხმობაშია იმის თაობაზე, რომ

²⁸) იხ. ibid. სტრ. 153.

²⁹) ტირიდატის ქალიშვილი გათხოვილი იყო მირიან რობოს ვაჟზე.

³⁰) ბროსე ამბობს, რომ არ არის ზუსტად ცნობილი იყვნენ თუ არა სომეხები ქრისტიანობაზე მოქცეულნი ქართველებზე ადრე; იხ. საქართველოს ისტორია: ნაწ.1. გვ.102. მით.1.

³¹) იხ. Религ. и политич. состояние Грузии до XVIII века. Жур. мин. нар. прос. XL. Стр. 132. Сп.с. Антиох. патр. М. Брека. Тр. Киев. дух. Ак. 1874 г. июнь стр. 361-416.

ივერიელებმა გამოითხოვეს თავისთვის სულიერი წინამძღვარი არა სომხეთიდან და რომის პაპისგან, არამედ კონსტანტინე იმპერატორისაგან, რომელმაც გაუგზავნა მათ ეპისკოპოსი და სასულიერო პირები. და მართლაც ივერიელები არასოდეს არ ემორჩილებოდნენ არც კათოლიკურ ხელისუფალთ და არც სომეხთა სასულიერო პირებს.“ ხელახლა დაფუძნებული სომხეთის ეკლესია დასაწყისში თვითონ ექვემდებარებოდა ანტიოქიის არქიეპისკოპოსს, რომლისგანაც წმ. გრიგოლი იყო ხელდასხმული ეპისკოპოსად. რომ დავუშვათ კიდევ, რომ საქართველოს განმანათლებელსა და წმ. გრიგოლს შორის იყო ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში ამ ურთიერთობის საგანი არ შეიძლება ყოფილიყო საკითხი იმის შესახებ, „თუ ამიერიდან რას უბრძანებს მას გააკეთოს, ვინაიდან ივერიელებმა თავისი ნებით მიიღეს სახარების ქადაგება,“ როგორც ფიქრობს მოსე ხორენელი. საკმაოდ გულუპრყვილობა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ნინოს, რომელიც ამდენი ხანი ემზადებოდა მოციქულებრივი ღვაწლისთვის, არ სცოდნოდა როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ხალხი გამოთქვამს სურვილს მიიღოს ქრისტიანობა. თუ ქართველებმა ნებაყოფლობით მიიღეს ქრისტიანობა, როგორც ეს ჩანს მოსე ხორენელის სიტყვებიდან, მაშინ კერპები, რომელთაც აღარ ჰქონდა უკვე ხალხისთვის მნიშვნელობა, რადგან ზურგი შეაქციეს მათ, თავისთავად გასაგებია, რომ უკვე შემუსვრილი იყო. და რა უნდა ერჩია გრიგოლს წმ. ნინოსთვის? „დაამხოს კერპები მისი მაგალითით და აღმართოს ჯვრის გამოსახულებები!“ ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა ყოველი ჩვეულებრივი მისიონერისათვის!!!

წმინდა სინკლიტი იოანეს ³² მეთაურობით სწრაფად ჩამოვიდა კონსტანტინეპოლიდან. საერთო ნათლობა ერისა, თავისთავად გასაგებია, დაიწყო მცხეთაში. ეპისკოპოსმა იოანემ ნინოს თანდასწრებით მონათლა მეფე, დედოფალი, დიდებულები, დედაქალაქის და გარეუბნების ყველა მცხოვრები. ³³ „როდესაც მე ვიხსენებ ამ უწმინდესს წუთებს, - ამბობს ნინოს მოსწავლე სიღონია: - ახლაც უნებურად წასცდება ხოლმე სიხარულის ცრემლი ჩემს თვალებს.“ რა სიხარული იქნებოდა წმინდა ნინოს! მისი ბავშვობის მგზნებარე სურვილი აღსრულდა, რთული მწირობის ამდენი ხნის მიზანი მიღწეულია, მისი მოციქულებრივი ღვაწლი და წარმგზავნელის ნება აღსრულებულია. დარჩენილი იყო მხოლოდ დაწყებულის დასრულება, გამოუცდელთა, მაგრამ უკვე მორწმუნეთა ხელმძღვანელობა. უარი

³²) სასულიერო პირთა წინამძღვრად გამოგზავნილი იყო არა ევსტათი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ იოანე. ქართლის ცხოვრება: ნაწ.1. გვ.91.

³³) უკიდურესად განსხვავებულია ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღების შესახებ მწერალთა ჩვენებები. ეს ჩვენებები დაახლოებით ორმოცდაათი წლის ფარგლებში მერყეობს უზარმაზარ სივრცეში. ბარონი თვლის ქართველთა მოქცევას 311 ან 327 წლებში; ქართველი ისტორიკოსი უფლისწული დავითი 312 წელს; საქართველოს ისტორიული გამოსახულება 314 წელს; ცნობათა კრებული კავკასიელი მთიულების შესახებ 315 წელს; სომეხი ისტორიკოსი ჩამჩიანი 317 წელს; ქართველი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი 317-318 წ.; კავკასიის კალენდრის ქრონოლოგიის მიხედვით 318-320 წწ.; მცხეთის ტაძარში ბ-ნ იოსელიანის მიერ ნაპოვნი ხელნაწერი 326 წელს; პატრიარქი დოსითეოსი 327 წელს; აკადემიკოსი ბროსე 328 წელს; ვივენ ს. მარტენი 331 წელს; ერთერთი თვალსაჩინო მკვლევარი კავკასიის მხარისა, დიუბუა ქართველთა მოქცევას მიაკუთვნებს III საუკუნის დასასრულს, უფრო დაზუსტებით 276-277 წლებს.

სთქვა რა მირიანის მიერ მორთმეულ ძვირფას საჩუქრებზე, მან განაცხადა: „ყველაზე საუკეთესო საჩუქარი იქნება ჩემთვის, თუ შენ, შენს ერთან ერთად მტკიცედ დაიცავ სარწმუნოებას, რომელიც მიიღე.“ წმინდა ნინოს მითითებით აშენდა ეკლესიები კვლავ მოქცეული ქრისტიანებისათვის, დაწესდა ღმრთისმსახურების წესები და აღიმართა საკვირველმოქმედი ჯვრები. ახლადდაფუძნებული ივერიის ეკლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს.³⁴ პატივისა და დიდებისაგან თავის დაღწევის მიზნით ნინო დედაქალაქიდან ერთ გამოქვაბულში გადავიდა, სადაც მარხვითა და ლოცვით ემზადებოდა მომავალი შრომისათვის, რომელიც უნდა გაეწია ღმრთის სიტყვის საქადაგებლად. მღვდელი იაკობისა და ერთი დიაკონის თანხლებით ნინო კახეთის სამეფოში ჩავიდა ქრისტეს სახარებლად. მან აქ, დიდი შრომის ფასად მოაქცია ქრისტიანობაზე ველური მთიულები: ერწოელები, თიანელები და ჩარტალები,³⁵ ასევე კახელები და ალბანელები. მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობა აქ იყო: ლოცვა, ფსალმუნება და ზრუნვა კვლავ მოქცეულთა ქრისტიანებაში განსამტკიცებლად. ცხოვრების მკაცრი წესი, ლოცვისა და მარხვის ღვაწლი, ხორცის მოკვდინება მოუცადებელი, იყო მიზეზი მისი სუსტი ორგანიზმის დაუძლურებისა: „ის თითქოს და სისხლიანი გვირგვინით დამშვენებული, ამბობს მოსე ხორენელი, გახდა მოციქული, ქადაგებდა, დაწყებული კახარჯიდან,³⁶ რომელნიც ალანების³⁷ კარიბჭესთან არიან და კასბებისა, მასკუტების³⁸ საზღვრებამდე, როგორც იტყობინება აგათანგელოზი.“

ჩვენს სამშობლოში 35 წლიანი მოციქულებრივი ღვაწლის შემდეგ, ნინოს ეცნობა ზეციდან მისი მოახლოებული აღსასრულის შესახებ. ნინომ წერილით აცნობა ამის შესახებ მეფეს და სთხოვა ეპისკოპოსი იოანეს გამოგზავნა. მეფე თავის მხრივ მცხეთაში დაბრუნებას ემუდარებოდა, მაგრამ ნინოს უკვე მეფის მოწვევის მიღება აღარ შეეძლო. მაშინ მეფე, დედოფალი, სასულიერო პირები და ხალხი გაემართა მომაკვდავისაკენ. მრავალი ავადმყოფი იკურნებოდა მის საწოლთან მიახლოებისას. მის სარეცელს გარშემორტყმულნი ევედრებოდნენ ცრემლებით, არ დაეტოვებინა მის მიერ ნათელღებული ხალხი უმეცრებაში, თუ საიდან იყო წარმოშობით და როგორ აღმოჩნდა საქართველოში. ნინომ დააკმაყოფილა რა გარშემორტყმულთა უკანასკნელი თხოვნა, იგი ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ახლადდაარსებული კახეთის ეკლესია რომ არ დარჩენილიყო ობლად, მან დაიბარა დაეკრძალათ იმ

³⁴) ანტიოქიის პატრიარქი დღემდე იწოდება ივერიელად: „პატრიარქი ღმრთის ქალაქისა ანტიოქიისა, სირიისა, ივერიისა, კიმიკიისა, მესოპოტამიისა და სრულიად აღმოსავლეთისა.“ იხ. Пут. Мур. ч. II, ст. 199.

³⁵) ნინოს მიერ მოქცეულთა რიცხვში მყოფნი მთიელები მოხსენიებულნი არიან უყიკის საღვთისმეტყველო წიგნებში; იხ. სადღეს. მოსკოვ. ტიპოგრ. 1890 წ. გვ. 174; დაუჯდ. წმ. და მოც. ნინოსი საქართველოს სამოთხე საბინინისა გვ. 157.

³⁶) კახარჯი, ემინის აზრით იმყოფება გუგარეთის რაიონში, დიდ სომხეთში. იხ. Истор. Моисея Хоренского. прим. 360.

³⁷) ალანური ან კასტიური კარიბჭე, ძველი „ბაბ-ალან“ არაბებისა. Ibid. მინიშ. 361.

³⁸) სომხური ფორმა სახელისა მასაგეტები. Ibid. მინიშ. 362.

კარავში, რომელშიც მოღვაწეობდა კახეთში ყოფნისას და მიაბარა სული უფალს.³⁹ ძალზედ დიდი იყო ეს დანაკლისი ახლადდაარსებული საქართველოს ეკლესიისთვის. მეფე მირიანი, დედოფალი ნანა, ეპისკოპოსი იოანე და ყველა დედაქალაქიდან ჩამოსულნი, მწუხარენი ასეთი რწმენის ჩირაღდანისა და ღვთისმოსავი ადამიანის დაკარგვის გამო ითხოვდნენ წმიდანის ძვირფასი ნაწილების მცხეთაში გადასვენებას და ცხოველსმყოფელ სვეტთან დაკრძალვას, მაგრამ ვერაფრით ძვრაც ვერ უყვეს კუბოს იმ ადგილიდან, რომელიც მას ჰქონდა ამორჩეული სამუდამო განსასვენებლად. ამავე ადგილას, სადაც იყო ნინოს განსასვენებელი, აგებულ იქნა დიდებული ბოდბის ტაძარი.

ნინოს მოციქულებრივი შრომა სრულად იქნა გაგებული და შეფასებული მისი თანამედროვეების მიერ. წმინდა ეკლესიამ ის შერაცხა წმინდანთა დასში, უწოდა რა მოციქულთასწორი და დააარსა მის საპატივცემულოდ ყოველწლიური დღესასწაული - 14 იანვარს [27 ახალი სტილით], მისი გარდაცვალების დღე. როგორი გულშიჩამწვდომი ტროპარი და კონდაკი უძღვნა მას ერთერთმა მის მიერ გადარჩენილმა შვილმა, თავისი მადლიერების მფრქვეველი გულიდან. „რჩეულო ქრისტეს მიერ მახარობელო, ღმრთის სიტყვისა მქადაგებელო, მახარებელო სიცოცხლისაო, ივერიის ხალხთა ჭეშმარიტების გზაზე დამაყენებელო, უფლის დედის საკუთარო მოწაფეო ნინო, ვითარცა ტკბილსა მლოცველსა და მედგარსა მცველსა სარწმუნოებისასა, ღვთაებრივი გალობითა შემოგწირავთ მადლობასა.“ „სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმინდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.“ ასეთი განდიდების შემდეგ, წმინდა ნინო მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის გახდა ცნობილი და ყველგან მისი სახელი ღრმა პატივისცემით წარმოითქმებოდა. მაგრამ განსაკუთრებულ პატივს მას და მის სახელს მიაგებდნენ და მიაგებენ მის მიერ ქრისტეს ნათლით განათლებული ივერიელები.

მიუხედავად იმისა, რომ თხუთმეტნახევარი საუკუნეა გასული ქართველთა განმანათლებლის გარდაცვალებიდან, ის დღესაც არ მიეკუთვნება წარსულს. წმინდა ნინოს დამსახურება ჩვენს წინაშე და სხვა აღმსარებლობისა და სხვა ენის მქონე ხალხის წინაშე, რომელნიც მან ჭეშმარიტების გზაზე დააყენა უდიდესია. ნინო შრომობდა ყველა ქართველისათვის და მისი შრომის ნაყოფით ერთნაირად სარგებლობდნენ მთელი კავკასიელები. ქართლი და კახეთი მას მიიჩნევენ საკუთრად, თავისად. თავისად მიიჩნევენ მას იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ალბანეთი და საერთოდ კავკასიაც. ნინომ ქვაკუთხედი დაუდო იმ ქრისტიანობას, რომელიც ახლაც 15 საუკუნის შემდეგ მყარად და უცვლელად არის დაცული საქართველოში, მიუხედავად მისი ბედის უკუღმართობისა. თხუთმეტ

³⁹) ვახუშტი მიიჩნევს ნინოს გარდაცვალებას 329 წ. ჟურნ. De s Peb. და სომხური ქრონიკები 332 წ. ბროსე და პატრიარქი დოსითეოსი 339 წ. ჟურნალი Пастырь – 338 წ. მამა იოანე გვარამაძე 328-331 წლებს, ნინოს ივერიაში ჩამოსვლიდან მეთოთხმეტე წელიწადს. ქართლის ცხოვრება გვარამაძისა, გვ.268.

საუკუნეზე მეტია რაც ჩვენ ვტკბებით ქრისტიანობით! ჭეშმარიტად დასაფიქრებელი რამაა! 1500 წელი ქართველთა შეგნებული და განათლებული ცხოვრებისა, 1500 წელი მათი ისტორიისა, რომელიც აღსავსეა საშინელებებით, რასაც ვერ გამოხატავს საშინელი წარმოდგენები ფანტაზიისა. 1500 წელი ქართველთა თავგანწირული და განსაცდელებით აღსავსე მოღვაწეობა რწმენის, მამულისა და ეროვნების დასაცავად. დიახ, ზუსტად ეს ჭადარა სიძველე, სიძველე ღირსეული, სიძველე წმინდა! ვისწავლოთ ისტორიისაგან, ის მოუსყიდავი და უზაკველი მსაჯულია. ზუსტად ის იტყვის, რომ 1500 წლის წინათ ქართველთა ტომებმა, რომელნიც არ წარმოადგენდნენ ერთიანს, კომპაქტურს, რომელთაც არ ჰქონდათ განსაზღვრული და მუდმივი კანონები; ტომებმა, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ხან ბუნების სტიქიებს და კერპებს, ხან ნაწილ-ნაწილ უერთდებოდნენ ქრისტიანობას (დასავლეთ საქართველოში და ზემო ქართლში), ხან იმყოფებოდნენ სხვათა ზეგავლენის ქვეშ, წმინდა ნინოს ქადაგებით მიიღეს ახალი ზეციური სწავლება, გარდაიქმნენ ზნეობრივად. რამდენი სიყვარული და სული, რამდენი მოთმინება და შრომა ჩადო ნინომ ქართველთა მოქცევის საქმეში. მისი ხასიათის თვისებებმა, უდიდესმა მისმა მორჩილებამ განსაზღვრა მართლმადიდებლური ქართული ხასიათი. რამდენი შინაგანი სითბო და გულითადობა, ფიქრი და გონება, რამდენი უდიდესი სულიერი და ცოდნისმიერი ნიჭი, ზნეობრივი ძალისა და სიმაღლის მქონე, გამოჩნდა მაშინვე ივერიაში, ქრისტიანული ჭეშმარიტების კეთილმოქმედი სხივების ქვეშ.

ნინოს წმინდა საქმემ, მისმა ჭეშმარიტად მოციქულთასწორმა ღვაწლმა და შრომამ დაგვიძახეს ჩვენ ცხოვრებისაკენ, მოგვცეს სულიერი ნათელი, დაადეს ბეჭედი ნათლისა თვით ჩვენს არსებას. მართლმადიდებლობის წმინდა რწმენამ განსწმიდა, გაანათლა და გაამყარა ჩვენში სიყვარული მამულისადმი, შთააგონებდა გმირებს, რომელნიც თავისი ძვირფასი მამულის ყოველ მტკაველს მოწამეობრივი სისხლით ჟღინთავდნენ; ის შთაბერავდა მეომრებს ურყევ სიმამაცეს, ქრისტეს ეკლესიისა და მისი სახელისათვის ბრძოლაში. მან აკურთხა უფლის მიერ დადგენილი ხელისუფლება, აკურთხა კანონები, შთააგონებდა რა მათ სახარებისეულ სიყვარულს და მოწყალებას, - დაამტკიცა საზოგადოებრივი წესრიგი, შთაუნერგა რა სათუთად ყველას სიწმინდე, პატივისცემა და მოვალეობის გრძნობა ერთმანეთის მიმართ, ასწავლა რა მტრების სიყვარულიც. მან აკურთხა ქართული ენა ღმრთის სიტყვით და საეკლესიო ტკბილი საგალობლებით. მან მიჰმადლა ქართულ ენას სისავსე, ძალა და სიცოცხლე, გადასცა რა მას საოცარი სიზუსტით ყველაზე ნატიფი ელფერი ბერძნული აზროვნებისა. წმინდა რწმენამ მოიტანა საქართველოში ნათელი და ყველა გონებრივი განძეულობა, უკვე განწმენდილი ქრისტიანობის მიერ იმ ხალხის წარმართული უწმინდურობისაგან, რომელიც ოდესღაც იყო განსწავლულობის მაგალითი მთელს მსოფლიოში. რწმენამ შეინახა სულიერი ნათელი ჩვენს სამშობლოში, რომელიც გარშემორტყმული იყო ცრუმორწმუნეობისა და უმეცრების წყვილით. და ბოლოს წმინდა რწმენამ შემოგვინახა ჩვენ ისტორია ჩვენი ქვეყნისა. ვინაიდან, ყოველი სამეფოს მთავარ ძეგლს, ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ან ბერების

წმინდა სავანე, ან უფლის ტაძარი. ჩვენი წინაპრების ღმრთისმოსაობისა და ღმრთისმოშიშების ნივთიერ ძეგლებში გამოიხატება ქართული სამეფოს მთელი ისტორია და მატიაწე. წმინდა რწმენა არის ერთადერთი და ყველაზე მტკიცე კავშირი, რომელიც აერთიანებს ჩვენს წინაპრებს თავისგან დაცილებულ შთამომავლობასთან; ჩვენ დავკარგეთ თითქმის ყველაფერი, მაგრამ შევინარჩუნეთ წმინდა ტაძრები, სადაც ჩვენი წინაპრები ლოცულობდნენ; შევინარჩუნეთ ენა, რომლითაც ისინი ადიდებდნენ ღმერთს, შემოვიწინაზეთ მამული, სადაც მათ დადეს თავები და შევინარჩუნეთ ჩვენი რწმენის წეს-ჩვეულებები, რომელნიც ასე უყვარდათ და რომელთა გამოც ამდენი ტანჯვა გადაიტანეს ჩვენმა მამებმა.

ტყუილად კი არ უგალობენ საეკლესიო საგალობლებში ქართველთა განმანათლებელს სხვა აღმაფრთოვანებელ შესხმათა შორის, ასე: „ქართველთა მზე ბრწყინვალე; ებანი სულიერი; საყვირი ღვთით მობერილი, ქრისტეს მოციქული, დედისა ღმრთისა საკუთარი მოწაფე, დედისა ღმრთისა წილხდომილთა ემბაზი, ტყვეთა მხსნელი და სხვა.“⁴⁰

ასეთია ჩვენი განმანათლებლის დამსახურებანი. ნინოს ხსენება არ მოკვდება არასოდეს, არ მომკვდარა ის თანამედროვე ქართველშიც, და აი, რატომ გვესმის ჩვენ, ჩვენი განმანათლებლის სახელში რაღაც მშობლიური და მომნუსხველი. არ არსებობს უფრო აღმატებული სახელი, ცისქვეშეთში გარდა ყოვლადწმინდა ქალწულის სახელისა მარიამისა, ივერიის მფარველისა. ნინოს საქმიანობას საოცრად მრავალმხრივმა და საოცრად ნაყოფიერმა დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ მის თანამედროვეებზე, არამედ შემდეგ თაობებზეც და ყველაზე დამორებული შთამომავლობა მუდმივად იგრძნობს თავის თავზე კეთილისმყოფელ ზემოქმედებას იმ ახალი ცხოვრებისა, რომლისკენაც იქნა მოწოდებული ქართველი ხალხი უდიდესი კაპადოკიელი მოღვაწის სიტყვითა და საქმით.⁴¹

გავლენ საუკუნეები და ივერიის მოქცევის დღე 1(14) ოქტომბერი დარჩება ივერიელთათვის უდიდეს დღედ, ვინაიდან მასთანაა დაკავშირებული ყველაზე

⁴⁰) სადღესასწაულო. მოსკოვ. ტიპოგრ. 1809 წ. გვ.172-175; დაუჯდომელი წმ. მოციქული ნინოსი. საქართველოს სამოთხე საბინინისა გვ.155-167; იხ. акты Кавказ. Археогр. ком. т. 1. стр.10-14.

⁴¹) უდიდესი წვლილი შეიტანეს კაპადოკიელებმა ქრისტიანობის გავრცელებაში. ოსტგოთებთან, როგორც ამტკიცებს ბესელი, ქრისტიანობა ჩაინერგა კაპადოკიელი ტყვეებისაგან, რომელნიც მათ მიიყვანეს აზიის ზღვით დაღაშქვრისას 268 წელს. დასავლეთ გოთებს ანუ ვესტგოთებს შორის (IV ს.) ქრისტიანობა გაავრცელა და განამტკიცა ეპისკოპოსმა ულფილამ, რომელიც როგორც ცნობილია ითვლება ტყვე კაპადოკიელების შთამომავლად. იხ. „Житие св. Иоанна Готфскаго“ Восилевскаго. Жур. Мин. нар. просв. Июль 1877 г. стр.86-154; წმ. სტეფანე სუგდეის მთავარეპისკოპოსი, მქადაგებელი, წარმოშობით კაპადოკიელი, სუგდეელების განმანათლებლად ითვლება. ჩანაწერი ოდეს. საზ. ისტ. და სიძვ. ტ.V. „ჩანაწერი XII-XIV სს. რომელიც მიეკუთვნება ყირიმის ქალაქ სუგდეას (სუდაკს)“ საქართველოში შემონახული ძველი გარდამოცემა ამბობს, რომ წმინდა გრიგოლი ნაზიანზელი იყო საქართველოში და განამტკიცა მთიელ ქართველთა რწმენა, არაგვის ხეობაში, ანტიოქიის პატრიარქის მელეტის ლოცვა-კურთხევით, რომელზეც დამოკიდებული იყო მაშინდელი საქართველოს ეკლესია. ბოდორნის სახარებაზე XV საუკ. წმ. გრიგოლი იწოდება არაგველთა განმანათლებლად; იხ. იოს. აღწერა ქ. დუშეთისა. გვ.20-23. შენიშ. 12.

ძვირფასი რწმენა და სასოება, ის ნათელი, რომლის გარეშეც ქართველები ივლიდნენ წყვიდადში, მიუხედავად ცოდნასა და განათლებაში დიდი წარმატებებისა.

გ. საძაგელოვ-ივერიელი.

Почетное место занимают женщины в общей истории распространения христианства; особенно им приписывается сильное влияние на просвещение христианством своих царственных супругов. Так известно, что на обращение польского короля Мечислава I-го имела сильное влияние Домбровка, дочь чешского короля Болеслава I-го; обращение франкского короля Бургундийке Клотильде; обращение англосакского короля Едильберта – его супруге франкской княжне Берте; обращение венгерских королей Гейзы и Стефана совершилось благодаря их супругам – сестре польского короля Адельгейде и сестре императора Гизле; Россия подготовлена была к принятию христианства св. Ольгою; на обращение великого князя Владимира, с вероятностью можно сказать, имели влияние его жены – христианки⁴²). Вспомним также, что св. Григорий, благодаря величю души женщины, дважды спасенный от смерти, сделался просветителем Армении.

